



საიას წარმატებული საქმე

სსიპ „საქართველოს ეროვნული  
მუზეუმიდან“ უკანონოდ  
გათავისუფლებულმა პირმა  
სასამართლოში დავა მოიგო

GYLA.GE

სსიპ „საქართველოს ეროვნული  
მუზეუმიდან“ უკანონოდ  
გათავისუფლებულმა პირმა

## სასამართლოში დავა მოიგო

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სსიპ **□□□□□□□□□□** ეროვნული მუზეუმის  ყოფილი თანამშრომლის სარჩელი.

საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, **□□□□□□□□□□** ეროვნულმა მუზეუმმა  დანესებულებაში განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა 2022 წლის 1 ივნისიდან შეწყვიტა, მიზეზად თანამშრომლის კომპეტენციის არაადაამაკმაყოფილებელი დონე დასახელდა, თუმცა, რეორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ კომისიას ვანდიდატის კომპეტენციის შემოწმების მცდელობაც კი არ ჰქონია.

სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია როგორც ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე - სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით. საქმეში გამოიკვეთა რეორგანიზაციის ფარგლებში კომპეტენციის არასათანადოდ შემოწმების პრობლემა, შეფასების კრიტერიუმების არარსებობა და დასაქმებულისთვის ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის შეთავაზებაზე უარი, რაც სრულად ეწინააღმდეგება მოქმედ შრომის კანონმდებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სსიპ **□□□□□□□□□□** ეროვნული მუზეუმის მიერ  მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ცნო ბათილად, ასევე, მოჰასუხეს დაეკისრა მოსარჩელისთვის იძულებითი განაცდურისა და კომპენსაციის სახით 6 000 ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება ამ დროისთვის არაა შესული კანონიერ ძალაში, რადგან მოჰასუხეს აქვს მისი გასაჩივრების შესაძლებლობა.

**მოსარჩელის ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.**